

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს მდ. ხელედულას და მდ. დევაშის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე 51,3 მგვტ დადგმული სიმძლავრის, „ხელედულა 3“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

2018 წლის სექტემბრიდან თვიდან კომპანიის ვებგვერდზე და თბილისის, ლენტეხის და ხელედის ოფისებში გამოქვეყნებულია პროექტი და ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელზედაც 2017 წლის ივლისშია გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასება, რომლის მომზადებაც რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით მოხდა;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა;
- არატექნიკური რეზიუმე.

აღნიშნული ანგარიშების საჯარო განხილვები გაიმართება 2018 წლის 7, 8 და 9 დეკემბერს, შემდეგი განრიგით:

- საჯარო განხილვა თბილისში მცხოვრები ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის (პრიორიტეტი მიენიჭება მაცხოვრებლებს, თუმცა შეხვედრაში სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება) ჩატარდება 2018 წლის 7 დეკემბერს 10:00 საათზე - ქ. თბილისში, სასტუმრო თბილისი მარიოტის შენობაში, თამარ მეფის დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №13);
- საჯარო განხილვები ყველა დაინტერესებული მხარისთვის: 2018 წლის 7 დეკემბერს 13:00 საათზე - ქ. თბილისში, სასტუმრო თბილისი მარიოტის შენობაში, თამარ მეფის დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №13).
- ღია კარის შეხვედრები საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან (პრიორიტეტი მიენიჭება მაცხოვრებლებს, თუმცა შეხვედრაში სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება). მოსახლეობას მთელი დღის განმავლობაში გაესაუბრებიან პროექტის ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ექსპერტები, და ყველა შეკითხვას უპასუხებენ. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ სამუშაო საათებში ნებისმიერ დროს მოზრდამდნენ და გაესაუბრონ ექსპერტებს. თბილისის მსგავსი პრეზენტაცია გაიმართება ყველა ადგილმდებარეობაზე, დილის 10 საათზე:
 - 2018 წლის 8 დეკემბერს ღია კარის შეხვედრა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, 10 საათზე პროექტის წარდგენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა N24);

- 2018 წლის 9 დეკემბერს ღია კარის შეხვედრა დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე, 10 საათზე პროექტის წარდგენა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელედის თემის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელედი).

შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ადმინისტრაცია